

13. საქართველოს პარლამენტის განცხადება, 1993 წლის 27 სექტემბერი.

საქართველოს პარლამენტის განცხადება

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე - სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე იმყოფება ფრონტის ხაზზე აფხაზი სეპარატისტებისა და დაქირავებული მკვლელების მიერ მიწასთან გასწორებულ სოხუმში. სახელმწიფოს მეთაურის ვაჟკაცობის და თავდადების პირადი მაგალითი მთელი მსოფლიოსათვისაა ცნობილი, მაგრამ ვითვალისწინებთ რა მთლიანად სახელმწიფოში შექმნილ ურთულეს ვითარებას, მიგვაჩნია, რომ ბატონი ედუარდ შევარდნაძის ქალაქ სოხუმში შემდგომი ყოფნა სახიფათოა არა მარტო მისი სიცოცხლისა და პირადი უსაფრთხოებისათვის, არამედ ქართული სახელმწიფოებრიობისათვისაც, და მოვლენების საბედისწერო განვითარების შემთხვევაში შეიძლება უფრო დიდი სისხლისღვრისა და სამოქალაქო ომის დაწყების მიზეზი გახდეს.

საქართველოს პარლამენტი კატეგორიულად მოითხოვს, რომ ბატონი ედუარდ შევარდნაძე დაუყოვნებლივ დაბრუნდეს დედაქალაქში და შეუდგეს თავისი მოავლეობის შესრულებას. დღეს საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის ახალი ეტაპი იწყება.

საქართველოს პარლამენტი

1993 წლის 27 სექტემბერი

(საქართველოს პარლამენტის უწყებები, ## 9-12, 1993, გვ. 127)